როგორც ზემოთ აღვინიშნეთ, პირველ სურათისა და ილუსტრაციის შორის მსგავსება უდავოა. მაგრამ ჩვენ ვერ დავადგინეთ მათი ურთიერთდამოკიდებულება, ე. ი. ცოცხალი სურათის მიხედვითაა შესრულებული ილუსტრაცია თუ პირიქე.

ადვილი შესაძლებელია, რომ ზიჩის დაედა ცოცხალი სურათები „დემონიდანაა“, მაგრამ იმ დროს, როდესაც ქართული პრესა ვადაჭერებულა ცნობებით, რომლებიც ეხება ზიჩის მუშაობას „ვეფხისტყაოსანზე“, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მისი „დემონის“ დასურათებზე მუშაობის შესახებ.

მეორეს მხრივ, თუ კი ეს ცოცხალი სურათები დადგმულია ზიჩის ილუსტრაციების მიხედვით, ისინი კიდევ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. მაგრამ მეორე და მესამე ცოცხალი სურათის მსგავსი ილუსტრაცია ზიჩის არა აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს სურათები მან დაღდა და გამოიყენა მხოლოდ ზოგი მათგანი, ისევე როგორც ზიჩი ამას აკეთებდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროს.

ზიჩის მუშაობა „ვეფხისტყაოსნისა“ და „დემონის“ დასურათებზე საქართველოში მოწმობს მის სერიოზულ და რეალისტურ დამოკიდებულებას ასახანი სეროლოგი-სადმი, მის ღილს პატივისცემას ლიტერატურული ნაწარმოებისადმი, ეს კი ილუსტრატორის გამარჯვების ძირითადი და მთავარი პირობაა.

მიხაი ზიჩი — დიდი უნგრელი შემოქმედი, რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვარი, უნგრელი, რუსული და ქართული ლიტერატურული შედეგების დამსურათებელი, ახლობელი არა მხოლოდ უნგრელი და რუსი ხალხისათვის, არამედ ჩვენთვის, ქართველთათვისაც — მან ზომ ზორცი შესხას რუსთაველის მაღლიან სიტყვას, ყალბითა და ფუნჯით გაეცყოს მის გარეშად და გმირები, რომლებიც დღესაც რჩებიან ჩვენთვის მეთობობისა და სიყვარულის, ვაყკაცობისა და თავდალების სიმბოლოდ.

Handwritten text in Georgian script, including a signature and the date '10 მარტი 1889'.

ჩ ე ს ო ვ ი ე კ რ ა ნ ზ ე

ნათია ამირეჯიბი

ნტონ პავლეს-მე ჩეხოვის უბაღლო ტალანტმა სწორად აუღო ალლო ეპოქის მაჯისცემას. მან პატარა მოთხრობებით დაგვიანტა თავისი დროის რუსეთის საზოგადოების სოციალური და იდეოლოგიური წინააღმდეგობაში. ჩეხოვის მოთხოვნები აატარა რომანების ბაღალია და მათი სიღაღე სწორედ მათ მცირე ფორმებში.

მოთხრობა „მანდილოსანი ფინიით“ რომანის ყველა ელემენტს შეიცავს. დახლართული ოჯახური კოლიზია, ბედნიერების ძიება, მოულოდნელი სიყვარული მემბხევივით გაცთობილი ქალისა... მიუღდავად იმისა, რომ იგი მცირე ზომის მოთხრობაა, მან დიდი ფორმის ნაწარმოებად გაიხიანა.

რა გზით აღწევს ჩეხოვი ამას? უპირველეს ყოვლისა, წერის პლასტიკურობით, ლაკონიზმით და მხატვრული პროზის ორი ძირითადი, სახეითი და თხრობითი ელემენტის ოსტატური შერწყმით. თხრობის დროს, ჩეხოვი სახეებით აზროვებს, რაც რამდენადმე აახლოვებს მის პროზას კინემატოგრაფისტთან. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქმის ჩეხოვის მოთხრობების კინოს ენაზე ამეტყველება ადგილი იყოს. მისი ნაწარმოებების მიხედვით მუხუჯა და ხმოვან კინემატოგრაფიაში 31 კინოსურათია შექმნილი, მაგრამ ჩეხოვისეული ინტონაცია მხოლოდ რამდენიმეს შერჩა. მათ შორის თაბაღდ შეიძლება დავასახელოთ რეჟისორ ი. ხეიფიცი ფილმი „მანდილოსანი ფინიით“, რომელმაც წარმატებით მოიარა საკუთარი კერაზე და როგორც ერთ-ერთი საკეთესო სამუშაო ფილმი, წარადგინო იქნა საფარხვეთში კახის მსოფლიო კინოფესტივალზე. ფრანგმა მაყურებელმა იგი გულთბილად მიიღო. აი რას წერდა გაზეთი „ლუმიანი“: „არაფერია იმაზე უფრო სახიფათო, ვიდრე ჩეხოვის გადატანა ეკრანზე და, უნდა გამოვტყდეთ, დარბაზში შეველისა დიდმა შედეგარებას შევკვიყო. მაგრამ ეს დღევა ამაო აღმოჩნდა, როცა დავინახეთ, რა ვასაოცარი კინემატოგრაფიული გადაიტანა კინოს ენაზე ხეიფიცმა დიდი რუსი ავტორის შესანიშნავი ნოველა. ი. ხეიფიცმა შესძლო წარმოედგინა ფილმში წმინდა ჩეხოვისეული ატმოსფერო. რეჟისორს დიდად დავებარუნენ შესანიშნავი მსახიობები — ალექსი ბატალოვი, ორმოცი წლის ეს განსაკვირვებელი მახაყი, რომელსაც ცხოვრება ზედსკედიმართად დაუტრიალდება; მშვენიერი ფრიალ მაღალეხებელი ან სავიანა. ჩვენ მას ყოველდღე ვხედავთ კრუაზეტზე. იგი პატარა, გაუბეღავ გოგონას ჰგავს“.

ორმა საუკეთესო სამუშაო ფილმმა — „ბაღალია ჯარისკაცზე“ და „მანდილოსანი ფინიით“ დაიმსახურა კანის ფესტივალის პრემია — „მაღალი ჰუმანურობისა და სიკეთესო მხატვრული ღირსებისათვის“.

ფილმის „მანდილოსანი ფინიით“ წარმატებაში გადაწყვეტილი როლი ითამაშა ხეიფიცის რეჟისორულმა ალომ. მან სწორად ამოხსნა ა. ჩეხოვის ნაწარმოების შინაგანი ბუნება. ფაქტად ჩამოახსნა კინემატოგრაფიულ ყალიბში და შექმნა ჩეხოვის იდეების ადეკვატური ხედვითი სახეები.

ფრანო „ისესსტო კინო“-ში ი. ხეიფიცი ამ ფილმის შესახებ ამბობს: „ჩეხოვის ყოველი ახალი ნაწარმოები ძლიერებს ჩვენთვის ძვირფას და საჭირო ნოტას, მხეწობიანა და სიცოცხლის სიყვარულის ნოტას. რაში მგომარეობს მისი მხეწობა? როგორი გადაწყვეტა უნდა პირობის სურათმა? ადამიანობამ უნდა გაიმარჯოს უჯვანობაზე. გუროუსა და ანნა სერგეევას შორის ჩახსახება მეორე, იღუ-



გუროვი — ა. ბატალოვი, ანა სერგეევანა — ი. სავიანა

მალი, მოვარი სიცოცხლე. ეს იღუმალი სიცოცხლე იმარჯვებს ხილულ, მაგრამ განწირულ სიცოცხლზე“.

რეჟისორმა ეს ამოცანა კინემატოგრაფიული ხერხებით გადაწყვიტა და მთელი ფილმი ამ ორი სიცოცხლის კონტრასტებზე ააგო. მაყურებლისათვის რომ დამაჯერებლად ეჩვენებინა ანა სერგეევასა და გუროვის ამაღლებული სიყვარული, რეჟისორს ზუსტად უნდა დაეხატა ეპოქის სურათი, რაც მან პირველი კადრებიდანვე შესძლო. ფილმი იწყება იალტის პეიზაჟით: ზღვა... იალტის სანაპირო... სანაპიროს ქვეშან ზღვა ტეტცივეს ცარიელი მოთილი... ზანტად იცქირებოან თხემა... ასევე ზანტად გამოიყურება დამსვენებელი კაფეში... დახლიდარი თვლებში... ისმის მონოტონური, ერთფეროვანი მუსიკა... აუჩქარებლად უძინზოდ დასეირნობენ დამსვენებელი ქუჩაში... გუროვი შემოდის კაფეში.

დამსვენებელი: აა! გუროვ! როგორა?

გუროვი: რაზე მკითხებით?

დამსვენებელი: ის, არაფერზე... გამოვიძინე, რისთვის?

თვითონაც არ ვიცი...

აქ ხეიფიცი გარემოს, რომელშიც მისი გმირები მოქმედებენ, კინემატოგრაფიულ ქვეტექსტად იყენებს. ამ ქვე-

ალდო ფილმიდან „მანდილოსანი ფინიით“





ტექსტი გადმოგვცემს მეფის რუსეთის საზოგადოების მაღალი ფენების შცონარობას, მათ ზანტას და უქმ ცხოვრებას, ვეინატას მოტივტივე ბოთლივით დაცლილ, უმიზნო აღაძინებს, რომლებმაც არ იცნან, რისთვის იძინებენ და იღვიძებენ.

ი. ხეივცის საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი გუროვისა და ანა სერგეევას ორიანდამი გასერების ეპიზოდი: ისინი ჩუმად სხედან სკამზე... მეტლუ ჩიზუს აბოლებს... ზღა... სანაბარი... ქვემოთ ლოდებს, ყრულ მონოტონურად ეწვეტება ზღვის ტალღა... ანა სერგეევანა და გუროვი სივრცეს გაყურებენ...

გუროვი: — გესმის, ზღვა ისევ ხმაურობს... და იგი კვლავ ზღვას გაყურებს... ჩაივლის მნათე, წულით შეჩერდება... მზის სხივი გაკვეთს ღრუბლებს, მთის წვერზე აკიაფდება... მეტლუ ლოცულობს... ცხენები თივას სმოვენ...

აქვე სხვადასხვა ბლანით ნაწენები ვარემო კინემატოგრაფიულ ქვეტექსტს წარმოადგენს. ზღვის მონოტონური ხმაური, მღუმარება, ცხენების ცხნა ერთფეროვანი და უმიზნო ცხოვრების სიმბოლოებია.

ხეივცმა გმირები მღუმარედ დასვა სკამზე, ქალ-ვაჯის სულიერი განწყობილება მათსავე ვარემო არსებული დეტალების საშუალებით გადმოსცა. მნათე, რომელიც წუთით შეჩერდება და ბუნების სილამაზით ტკბება, — გუროვის სულია; მეტლუ, რომელიც ლოცვით ეგებება მზის ამოსვლას, — ანა სერგეევანა, და ბოლოს, მზის სხივი, რომელიც კვეთს შავი ღრუბლების ფენას მათი სიყვარულის სიმბოლოა.

საინტერესოდ გადააქვს ხეივცის პროზის თხრობითი ფორმა კინემატოგრაფიის ხედვით ფორმამი. გუროვის შესახებ ჩეხოვი წერს: „ასე ეგონა გაივლის რაღაც ერთი თვე და ანა სერგეევას დაიწყების ბურუსი მოიცავს. მხოლოდ ზოგჯერ თუ დაესიზმრებოდა იგი მომხიზმავად მომღიზარი, ისევე, როგორც სხვა ქალები დასიზმრებია ხოლმე“.

ხეივცის ეს ასე გადააქვს ეკრანზე: გუროვმა გააცოლა ანა სერგეევანა. ფიცრულ ბაქანზე, იმ ადგილას, სადაც მა-

ტარებელი იდგა, ანას ხელთათმანი შეინშნა, დამბარდა... ლო და გზად ლოზეუ დაადო. გუროვს ჰგონია, რომ იალტაში ხელთათმანთაბ ერთად საულდაოდ ტოვებს ამ ქალის სიყვარულს...

მოსკოვის ეპიზოდებში ი. ხეივცი კიდევ უფრო ამახვილებს მაყურებლის ყურადღებას რუსეთის მაღალი ფენების საზოგადოების ერთფეროვან და უმიზნარო ცხოვრებაზე: მოსაწყები სალონური საღამოები და მეჯლისები, უაზრო ღამისთევები, ერთფეროვანი დღეები, ქალადის თამაში, ღორმეცელობა, ლითობა, ღაყბობა ერთსა და იმავე თემაზე. გუროვი სულიერად გაძოთიმა მისმა განწყობილებამ ამ ვარემოციდას: ანა სერგეევანასადმი სიყვარული მას გამოხატა პროტესტით გამოფიტული საზოგადოებისადმი, რომელსაც იგი ძალაუხებურად ეკუთვნოდა. მას ყველგან თან სდევს ანაზე მოგონებები. ხეივცმა ეს თუმცა თავისებურად გადაწყვიტა. იგი არ მიმართავს ორმავე ექსპოზიციებს. რეჟისორი იყენებს ანას მუსიკალურ თემას, რომლის ძელოდია საუცხოოდ ძერწავს ქალის მხატვრულ სახეს. რეჟისორი ასევე ოსტატურად და გაბედულად მიმართავს სიმბოლიკას. ანა სერგეევას სახლის უსასრულო, რუხი და ყრუ მესერი იმ ობიექტულური საზოგადოების სიმბოლოა, რომელიც შეეყვარებულთა შორის აღმართულა. გობოზე დამკვრელი მობეტადლე მუსიკოსი, რომელიც ნაწყალბევი ვრომზებით საზრდობს, ვახსახიერება ანა სერგეევანასა და გუროვის სიყვარულისა, რომელიც დროის მოწყალეებს ამოიღობს.

სუროვის გამარჯვება განაპირობა მსახიობების ა. ბატალოვისა და ი. სავიხას ოსტატობამაც, რომლებიც ხორცის ასხამენ და აცოცხლებენ ჩეხოვის გმირებს...

რეჟისორმა ი. ხეივცმა ოსტატურად გადაიტანა ეკრანზე ჩეხოვის აზრები, მსოფლმხედველობა, სახეები, ხასიათები, მოუნახა მათ ზუსტი კინემატოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებანი, ახალი ენით ააქვეყნელა ისინი. აქ წარმატება უდავო იყო. თუ ჩვენ მოთხრობაში ჩეხოვის ცვითხულობთ, ი. ხეივციის ნიჭიერ ფილმში ჩეხოვის ეხებადეთ.



ქართული საღამოები და წარმოდგენები უკრაინაში*

ვალერიან იმედაძე



ართველი და უკრაინელი ხალხების მრავალ-საუკუნოვანმა კავშირმა თეატრის სფეროშიც პოვა თავისი გამობატულება. ამ ურთიერთობის საინტერესო ფურცელია ქართული საღამოები და წარმოდგენები, რომლებიც რევოლუციამდე იმართებოდა უკრაინაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის კულტურული ღონისძიებები, რომელთა ორგანიზატორად გამოდიოდა ქართველი სტუდენტობა. როგორც ცნობილია, ძირითადი ნაწილი ქართველი ახალგაზრდობისა სწავლობდა უკრაინის ქალაქებში — კიევი, ხარკოვსა და ოდესაში. ბირველ ხანებში ქართველ და სომეხ სტუდენტთა სათვისტომოები შეერთებულად აწყობდნენ საღამოებს, ხოლო XIX ს. მიწურულში და XX საუკუნის დამდეგს, როდესაც ქართველ სტუდენტთა რიცხვმა იმატა, ასეთი საღამოები დამოუკიდებლად ტარდებოდა.

I

ბირველი გაერთიანებული ქართულ-სომხური „კავკასიური საღამო“ უკრაინაში მოეწყო 1894 წ. 9 თებერვალს ხარკოვის დრამატულ თეატრში. საღამოში მონაწილეობის მისაღებად პეტერბურგიდან სპეციალურად მიწვეული იყო

* ამ საკითხის სრული ბიბლიოგრაფია დამუშავა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს თეატრალური მეზუემის დირექტორმა გ. ბუნიაშვილმა. ვსარგებლობ რა ამ საბიბლიოგრაფო ცნობარით, უღრმეს მადლობას ვუძღვნი ამ. გ. ბუნიაშვილს.

ახალგაზრდა კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელიც მაშინ პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა. მოსკოვიდან კი — მომღერალი კოსტანიანი. საღამო ჩინებულად ჩატარდა და სავსებით გაამართლა მის ორგანიზატორთა იმედი და ხარკოვის მრავალრიცხოვან მაყურებელთა ინტერესი.

ბალანჩივაძემ იმღერა თავის ცნობილი რომანსები „შენ გეტრფი მარად“ და „ნანავ, შვილო, ნანინა“, კოსტანიანმა — „კრიუკ“ და „ოტარერ კირ“. ხალხი ტაშის გრილით შეხვდა ქართული და სომხური სიმღერების შესრულებას. ერთმა ხარკოველმა მსახიობმა ქალმა წაიკიხა გრივოლ ორბელიანის მუხამბაში „ნუ მასმევე ღვინოს, უღვინოდაც ვარ მთვრალი შენის ეშხით“. შესრულებული იქნა აგრეთვე გ. ყორღანოვის „ზაიათი“ და „სომხური რაფსოდია“.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა გუნდმა (ხელმძღვანელობდა კოლესნიკოვი). გუნდმა შეასრულა სომხური სიმღერები „ლურიკ“, „ძმენ-ანცავ“ და „ზეითუნის მარში“, აგრეთვე ქართული სიმღერები „კუჩხა ბედნიერი“, „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“ და „ნანავ, შვილო, ნანინავ“. ეს უკანასკნელი სიმღერა გუნდმა შეისწავლა მისი ავტორის ა. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით.

საღამოზე დაიდგა ორი ცოცხალი სურათი — ერთი „ორთაქალის ქეფი“ — თბილისის სომეხთა ცხოვრებიდან, მეორე ანსახიერება და ერთს უკიზოდს ქართველი ხალხის

ო. შამალაძე

ღმეუთი





წარსულიდან, სახელდობრ — ძმები ხერხეულიძეებისა და მათი დედის გმირობას, იმ მომენტს, როცა ქართველმა დედამ შვილების დაღუპვის შემდეგ ხელი ჩასიდა დროშას და წინ გაუძღვა მეომრებს. საქართველოს ისტორიის ამ ეპიზოდის გაცენიურებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რუს და უკრაინელ მკურნებლებზე. მათ უწოდებოდათ ღიბანს დაიმტკაროყენენ ამ წარმტაცი სურათით და ერთხმად გაიხმოდნენ: „ღიბანს, ღიბანს გააჩერეთ ფარდა“.

პროგრამაში იყო აგრეთვე ქოროგრაფიული ნომრებიც მაგ. საქვეყნოდ ცნობილი ქართული ეროვნული ცეკვა და სახუმარო „კინტოური“. პირველი კავკასიური საღამო დღილი წარმატებით ჩატარდა, მას დიდადღი საზოგადოება დაესწრო. საღამომ ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს და უკრაინის კულტურული დაახლოების საქმეში. ქართული საზოგადოება დიდი სინაჟრული მიეგება საღამოს მიუყვებას მომე ქვეყანაში. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ 1894 წ. 25 თებერვლის № 44 დაბეჭდა ს. კეკელიძე-შვილის (შემდეგ ცნობილი პოლშევიკის) კორესპონდენცია სათაურით „კავკასიური საღამოები ხარკოვში“, სადაც სხვათა შორის აღნიშნული იყო, რომ ბალანჩიკაძის „ნანავ, შვილო, ნანინა“ს შესრულებისას „საზოგადოების სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა“, რომ ცოცხალმა სურათმა „აღტყევაში მიიყვანა საზოგადოება“.

შემდეგი კავკასიური საღამო ხარკოვში გაიმართა 1895 წლის 25 იანვარს — სათაურით თეატრში. მის ორგანიზატორს დიდად შეუწყო ხელი აკაკის ვაჟმა, ხარკოვის საოპერო თეატრის ანტრეპრენორმა, ალექსი წერეთელმა. ეს საღამო უფრო უკეთ მოეწყო — მის ორგანიზატორებს უკვე საკმაოდ გამოცდილება ჰქონდათ. საღამოს საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობდნენ საოპერო თეატრის აქტივობებიც.

ქართულ-სომხურმა გუნდმა (ხელმძღვანელი ოპერის ხორმისტერი მიკლაშვიცი) იმღერა: „მეყვარს ფაცხა მე მეგრულად“, „ნანა, შვილო“, „მგზავრული“, სომხურა — „ძმენ-ანცე“, „ზეითუნის მარში“ და „ზარტირ სირტი იმ ვშტარ“. ხალხ განსაკუთრებით მოეწონა „ნანა“, „მგზავრული“ და „ზარტირ სირტი“. ეს სიმღერები რამდენიმეჯერ იქნა განმეორებული. ოპერის ცნობილმა მომღერალმა ქალმა ნერგის შვიტამა მშვენიერად შესარულა ქართულად „ზემო თვალის სინათლე“, სომხურად „შტარტირტი“.

საღამოზე დაიღვა ორი ცოცხალი სურათი. ერთი გამოხატავდა თურქების იყრ სომხური სოფლის დარბევას, რაც ხშირი მოვლენა იყო იმდროინდელ თურქეთში, მეორე წარმოასახლდა ხერხეულიძეების იმავე გმირულ თავდადებას, განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა მომენტს, როცა ხერხეულიძეების დედა შეიჭრება მტრის რიგებში, რომ ხელდას გამოსტაცოს მათ ქართული დროშა. ვაზ. „იერიის“ სტიქით, ამ სანახაობამ აღტყევაში მოიყვანა საზოგადოება: იგი, თითქოს ელექტრონის ნაკადება დაუარა ტანშიო, ფხვნივ წამოდგა და სურდა დამტკბარყო ასეთის სურათის ხანგრძლივი ექირათ. („ივ.“ № 28, 1895 წ. 7 თებ.).

მესამე საღამო გაიმართა 1897 წ. 20 ნოემბერს. საკონცერტო განყოფილებაში, სტუდენტთა ვარდა, მონაწილეობა მიიღო ხარკოვის საოპერო დასის უმრავლესობამ. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ მომღერალი ქალები — უფეტი და ბაბროვა, აგრეთვე ჰიანისტი

ქალი ვაშაიძე, რომლებსაც ცოცხალი ყვავილები — ღირსეული თავივლები მიატოვეს.

მეოთხე ტრადიციული საღამო მოეწყო 1902 წ. 7 იანვარს. მონაწილეობა მიიღეს ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა. წმინდა შემოსავალი (700 მან.) მიზანხდა დაირი სტუდენტობას.

იმავე წლის 14 დეკემბრამდე გაიმართა მეორე, რიგით მეხუთე კავკასიური საღამო: პროგრამაში შედიოდა მ. ბალანჩიკაძის „დარეჯან ციბირის“ ნაწყვეტები, „პიკის ქალისა“ და „ლაკამე“ თითო აქტი, ცოცხალი სურათები ილია ჭავჭავაძის „განდვილის“ მოტეგებზე, და კავკასიური ცეკვები კერძოდ „ქართული“ და „კინტოური“, ვაზ. „Харьковский листок“ 16/XII—1902 წ. ვერდა: „ცოცხალი სურათები ძლიერ მოეწონათ მაყურებლებს. მაგრამ ყველაზე მეტე წარმატება მანიც წილად ხვდა მოცეკვავეებს, რომლებმაც შესანიშნავი შესატებით შესარტოველი ეროვნული ცეკვები ზურნისა და დოლის თანხლებით. ასეთი მომხიბლავი ცეკვები ჭეშმარიტად ღირსია, რომ კაცმა ნახოს“.

პირველი თემატიური საღამო, მიძღვნილი მხოლოდ საქართველოს კულტურისა და ხელოვნებისადმი, ხარკოვში მოეწყო 1903 წ. 2 დეკემბერს. მან დიდადღი ხალხი მიიზიდა და სურვილები მოაღრე და მატერიალური წარმატება მიიხვეჭა. როგორც ვაზ. „ცნობის ფურცელი“ გვატყობინებს, დანსწრენი აღტყევაზული იყვნენ საღამოს პროგრამით. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ქართულმა სიმღერებმა „ჩუხ-ჩუხით ჩამობოდა“, „მურმან, მურმან შენსა დღესა“, „ქართველი, ხელი ხმალს იყარ“, „ნანინა“ და სხვ., აგრეთვე ქართულმა ცეკვამ „ცანკადა და ვგოუნას“ თანხლებით, რამოდც კივიდან და ოქსიდან და ცოცხალურად მოეყეულმა ქართველმა სტუდენტებმა ვანახამდე და ყანქლამა შესარტოვეს. დაიღვა ორი ცოცხალი სურათი შ. რუსთაველის „მეფისბატყარინდან“. მისი შესრულებისას ვანწყნარულიე გაისმოდა ტაში და „ვაშას“ შექანილი. თითოეული სურათი, მაყურებელთა მოთხიხებით, სამჯერ იქნა განმეორებული. ვარდა ამისა, რუსმა არტისტმა ზორისონამ დაიდ ვენებით და ოსტატებით წაიკითხა აკაკის „სალამურის“ რუსული თარგმანი, საღამო დამთავრდა დიდის ს საათზე. ხარკოვის პრესამ ერთხმად აღნიშნა ქართული საღამოს წარმატება და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

1907 წ. — ოთხი წლის ინტერვალის შემდეგ რეაქციის მიმდინარების ენამ ქართული საღამოები მოეწყო მხოლოდ ორჯერ — 20 იანვარსა და 19 ნოემბერს. პირველი საღამო იოხი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში დაიღვა კომედია „Шалость“, რომელიც წინებულად განახახიერეს ქართველმა სტუდენტებმა, მეორეში — შესრულეული იქნა ქართული სიმღერები: მესამე განყოფილებაში დაიღვა ორი ცოცხალი სურათი „ქართველები მიეგებათ იმის დროს“ და „ქართველი დედა და ახალგაზრდა ცოლი ემშვიდობებიან ომში მიმავალ ქართველ მეომარს“. მეოთხე განყოფილებაში იყო ცეკვები. დარბაზში ქართულ სტილში იყო მორთული. მაყურებელთა წინაშე გადაიშალა საუცხოვე სურათი — ჭიპარა თბილისი, მისი ბოტანიკური ბაღით, მეტეხის ციხე-სიმაგრით.

მეორე საღამო დაიწყო რუბინშტეინის ოპერის „დემონის“ შესრულებით, მონაწილეობდნენ ხარკოვის საოპერო თეატრის მსახიობი ქალები — მაცასკარა და შულკინა (შემდეგში თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი იყო).



შეღებნამ ამის გარდა შესარულა ქართულ ენაზე ორი რი-
ნანსი.

1908 წ. დეკემბერში მიღელმა საქართველომ დიდი ზეი-
მით აღწინაა ჩვენი დიდებულნი პოეტნი — აკაკის მოღა-
წეობის 50 წლისთავი. მაღუ ხარკოვნიც შეიქმნა სასიუბი-
ლეო კომისია, რომლის ხელმძღვანელობა იკისრა ხარკოვის
უნივერსიტეტის პროფესორმა ცნობილმა უკრაინელმა ეთ-
ნოგრაფმა და ლიტერატორმა ნიკოლოზ თედორეს ძე სუ-
მცოვამ (1854-1922, შემდგომ უკრაინის სარ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი). ზეიმი დანიშნული იყო 1909
წლის 17 თებერვალს. ყველაფერი კარვად იყო მომზადე-
ბული, დარბაზი მშვენიერად მორთული, მოსაწვევი ბა-
რათები დარიგებული, მაგრამ საზეიმო საიუბილეო სხდო-
მის გახსნის დღეს მოულოდნელად მოხდა საცარის თამა-
ქ — პროფესორმა სუმცოვმა უარი განაცხადა კომისიის თავმ-
ჯდომარეობაზე. თურმე რეაქციონერებს საერთოდ არ ეპიტ-
ნავთ აკაკის სადამო უნივერსიტეტში, განსაკუთრებით,
იმიტომ, რომ მას თოსონობდა პროგრესული მეცნიერი —
ქართველი ხალხის და კულტურის მეგობარი. პოლიციას
აშკარად ეშინოდა პატრიოტულ-პოლიტიკური დემონსტრა-
ციისა, მან აკრძალა აკაკის ლექსთა რუსული კრებულის
გაყიდვა სალამოლე, სასტიკად შეკვეცა დამსწრეთა რაოდენ-
ნობა, დარბაზი, დერეფნები აავსო თავისი აგენტებით და
ზოლის აიძულა სუმცოვი უარი ეთქვა სადამოს ხელმძღვა-
ნელობაზეც.

მეფის აღმინსტრაციამ დუზორგანიზაცია შეიტანა ქარ-
თველ სტუდენტთა რიგებში, მაგრამ აკაკის სადამოს ჩაშლა
მაინც ვერ შეძლო. იგი მაინც ჩატარდა ცოტახნის შემდეგ
25 თებერვალს, უნივერსიტეტის საქათ დარბაზში. აქ
ქართველ სტუდენტთა გარდა თავი მოიყარეს სხვა ეროვნე-
ბის სტუდენტებმა, პროფესორებმა, სადამოს დაესწრო
რეტორებიც — ცნობილი მეცნიერი ე. ბ. ავალიევი. კომისი-
ის თავმჯდომარე პროფ. შ. ვ. პოპოვმა წარმოთქვა მოკ-
ლე, მაგრამ მეტად გულთბილი სიტყვა.

აკაკის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ექიმი
ა. ნ. ნათიშვილი (შემდეგში საქ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევ-
რი). ამალდეგებელი პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა
სტუდენტმა, შემდგომ ცნობილმა იურისტმა შალვა მესხი-
შვილმა. სტუდენტთა გუნდმა, დ. ქიქელიძის ხელმძღვანე-
ლობით, შესარულა რამდენიმე ქართული სიმღერა, ორმა
რუსმა სტუდენტმა წაიკითხა აკაკის ცნობილი ლექსები
„ავადმყოფი“ და „ქართველი დედა“.

სადამო დამთავრდა აპოთოურით — დაიდგა 3 სურათი
აკაკის ნაწარმოებთა მოტივებზე, — „ძილი“, „ორი ქართ-
ველი“ და „ქართველი დედა უფის აკვანს“. უკანასკნელი
სურათის წარმოდგენის დროს ქართველ სტუდენტთა გუნ-
დმა შესარულა „ნანა“. ამ სურათმა წარუშლული შთაბე-
დილება მოახდინა დამსწრეებზე. საქართველოში პროფ.
პოპოვის ხელმძღვრებით მისასალმებელი დღეებმა იქნა გა-
მოზაგენილი.

1909 წ. 9 დეკ. ქართული სიბრძნე მოეწყო ხარკოვის
საბავრო თეატრში. სადამოს ძირითად პროგრამაში ქარ-
თული ხალხური სიმღერები იყო. ოპერის მომღერლებთან-
გან შემდგარმა გუნდმა, რამდენიმე დღეში, ქართულ ენაზე
შესრულა სიმღერები და ოსტატურად შეასრულა. ამ
საქმეს ხელმძღვანელობდა სპეციალურად პეტერბურგიდან
მოწვეული ახალგაზრდა კომპოზიტორი და ლობჯანი, აწ

განხვეწებული, კოტე ფოცხვერაშვილი; „შესრულდა „რი-
რო“, „მიყვანილი ვაცხა მე მეგრული“, „ლილე“, „ვახტანგ
მეფე“, „ცანგალა და გოგონა“, „მურმან, მურმან“, აგ-
რეთვე მ. ბალანჩივაძის ოპერის „დარეჯან ცბიერის“ მე-
ორე აქტი და ყარაშვილის „სამშობლო“, ფოცხვერაშვი-
ლის „მოლავა არმანის წინ“ და სხვ.

უნდა დადუმატო ისიც, რომ სადამოს პასუხისმგებელი
ხელმძღვანელი იყო ცნობილი მეცნიერი, დიდი ქიმიკოსის
ნ. ნ. ბეკუტაშვილის მოწაფე პროფ. ი. პ. ოსიპოვი (1855-1918).

1912 წელს 4 ნოემბერის ხარკოვის ქართველმა სტუდენ-
ტებმა მოაწყვეს ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სა-
ზეიმო საღამო. იგი გაიხსნა პროფ. პროფდოჩის (პასუხის-
მგებელი ხელმძღვანელი) მოკლე სიტყვით. თავმჯდომარის
წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ილიას
ხსოვნას.

ილიას ცხოვრების, ლიტერატურულ-საზოგადოებ-
რივი მოღვაწეობისა და მსოფლმშვედველობის შესახებ რე-
ფერატებით გამოვიდეს ქართველი სტუდენტები კ. ცავა-
დური, ს. ბარამიძე, შ. ბუჩიძე (ორი რეფერატი წაიკითხუ-
ლი იქნა რუსულად, ერთი — ქართულად). მგზნებარე სი-
ტყვა წარმოთქვა ა. წერეთელმა. ილიას ლექსები ქართულ
ენაზე წაიკითხეს სტუდენტებმა — ივანოვმა, ე. წერეთელ-
მა, არუმიძემ, ზურგაშვილმა, რიონიშვილმა, გამრეკელმა,
ამაშუკელმა.

სხვათა შორის, სადამოს დაესწრო ქართული კულტურ-
ის დიდი მეგობარი პროფ. სუმცოვი, რომელიც სადამოს
დამთავრების შემდეგ შევიდა კულისებში, გულითადი მად-
ლობა გადაუხადა ქართველ სტუდენტებს.

1912 წ. 26 ნოემბერს შედგა ქართველი სტუდენტთა
ტრადიციული საღამო. პირველ განყოფილებაში დადგუ-
ლი იქნა მ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „დალატი“ (სუბმა-
თაშვილის პეისის სიუჟეტზე), მეორე განყოფილებაში კი
შესრულდა ქართული და ევროპული ცეკვები. სადამოს
ხელმძღვანელობდა ქართველების დიდი მეგობარი პროფ.
პოპოვი.

1914 წლის 20 იანვრის სადამოს მესამე და მეოთხე
ნაწილი ატარებდა წმინდა ქართულ ეროვნულ ხასიათს.
ორდღესა ფრანდა აიხადა, მაყურებელთა წინაშე გადიოდა
და მომხმობელთა სურათი — კახეთის ხედი; მისი მთების და
ტყეების ფონზე ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი
ახალგაზრდობა. ცოცხალი სურათი გამოსახავდა ძველ-
ბურ ხალხურ დღესასწაულს — აღავერდობას. ამ სანა-
ხაბამ პირდაპირ მოაჯალღა მაყურებელი, ხოლო როცა
ძმებმა ჯაჯახიძეებმა ჩინებულად შესარულეს კახური
„მრავალგანიერ“, ლ. წერეთელმა კი „ცანგალა და გოგო-
ნას“ მოტივებზე მშვენიერად იცქევა, „გუშას“ ძაბოს და
მქუხარე ტაშის გრიალს არ ქონდა დასასრული, როგორც
ამას ვაგებობინებს ქართული ვაზეთი „სიმარლიის ხმა“
(№ 40, 1914 წ. 19 თებ.).

ამ ქართულ სადამო-კონცერტში მონაწილეობა მიი-
ღეს სიმეხმა სტუდენტებმა — განსაკუთრებით გამოირ-
ჩეოდა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ვარდანი-
ნი. რუსთა და უკრაინელთა აუდიტორია მოღერ მკაცრ-
ფილი დარჩა სადამოთი.

ხარკოვის ქართველი სტუდენტობა დიდი აკაკის გარ-
დაცვალების გამოხმამურა ლიტერატურულ-მუსიკალური
სადამოს მოწყობით (1915 წ. 8 მარტი). სადამოს დასა-

წყისში მისმა ხელმძღვანელმა პროფ. კლოკოვმა მოკლე, მაგრამ ტემპარიტად შთაგონებული სიტყვით დაასაიათა დიდი ქართველი პოეტის ღვაწლი და მნიშვნელობა.

სტუდენტებმა შ. ბერიძემ, კ. კვანტრემ, ა. ჭირაქაძემ წაიკითხეს მოხსენებები „ა. წერეთელი და მისი ლირიკული ნაწარმოებები“, „აკაკის შემოქმედების მოკლე და-სასაიათება“, „დემოკრატიული მოტივები ა. წერეთლის სოფიაში“. სტუდენტებმა წაიკითხეს აგრეთვე პოეტის მოხსენაში მიძღვნილი საკუთარი ნაწარმოებები. მკვენიერად წარმოთქვა, მაგალითად, თავისი „მოგონება-ფანტაზია“ ახალგაზრდა პოეტმა დია ჩიანელმა. საღამოს ნამდვილ მშვენებას წარმოადგენდა ქართველ სტუდენტთა გუნდი ვ. დლაქიშვილის ხელმძღვანელობით. გუნდმა ჩინებულად შესარულა სიმღერა „მოკლეს დღია“, „ნანა“, განსაკუთრებით, ა. ყარაშვილის „სამშობლო“.

მორიგე ქართული საღამო ხარკოვში მოეწყო 1916 წ. 21 იანვარს. პირველად ხარკოვში, რუსულ ენაზე რუსი არტისტების დახმარებით შესრულდა დღია ჭუკუკავაძის „ღელა და შილა“. ბიესამ ღრმა შთაბეჭდილება დატოვა აუდიტორიაზე (შვილის როლს შესანიშნავად ასრულებდა არტისტი პასხლოვი).

მეორე განყოფილებაში ქართველ სტუდენტთა გუნდმა სტულ ზადაშვილის ლტბარობით შესარულა „ვახტანგ მეფე“, „სამშობლო“ (რომელიც აუდიტორიამ რამდენიმეჯერ გაამოვიძინა). კარგად იცვება „კინტორი“ სტულ-როინიშვილმა, განსაკუთრებულ წარმატება ხვდა წილად ზენ შესანიშნავ ეროვნულ ცეკვას „ქარსულ“ თამარ ჭუკუკავაძის და სტულდენტ აბაშიძის შესრულებით. ამ საღამოს გამო ქართული გაზეთები წვედნენ: დარბაზში სუფევდა ქართული ეროვნული სტუდენტობა, შესრულებული იქნა ქართული ცეკვები და სიმღერები ისეთნაირად, რომ თავი გეგონა არა ჩრდილოეთში, არამედ შუაგულ საქართველოში. ხარკოვის სტუდენტთა უკანასკნელ კაქტურულ, ფრიალ შონასისად და მნიშვნელოვან დონისძიებას წარმოადგენდა საღამო, მიძღვნილი ზენი გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნისადმი, 1916 წ. 27 ნოემბერს — პოეტის დაბადების 100 წლის-თავთან დაკავშირებით.

...სცენაზე აღმართული იყო ბარათაშვილის პორტრეტი, შესრულებული სტულ. დ. კობახიშვილის მიერ. პორტრეტი შემკული იყო ქრისანტიმებით და დაფნის გვირგვინით. მსატარმა კარგად გადმოგვცა პოეტის ამაყი და უღრეტი სული. მოკლე, მგრძობიარე და შინაარსიანი შესავალი სიტყვა წარმოთქვა საღამოს თავმჯდომარემ პროფ. ი. ი. გლივიჩემ, ქართველი და რუსი სტუდენტებისაგან შემდგარმა გუნდმა, ი. ბიჭინავაძის ლტბარობით, მიძღვნილად შესარულა „მრავალკაციერი“.

პოეტმა ილო მოსაშვილმა დიდი გრძნობით წარმოთქვა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა სტულ. ალ. ჭირაქაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ქართველი პოეტის სულიერ სიახლოვეს ბაირონთან და ლერმონტოვთან.

მოსხმებით თმანაშე „ბარათაშვილის პოეზიის მთავარი მოტივები“ გამოვიდა მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ახვლედიანი (ახლა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქ. მეცნ. აკადემიის წევრი), სხვათაშორის მან აღნიშნა, რომ მოწინავე რუსეთი, სამწუხაროდ, ჯერ სამკაბოდ ვერ

იცნობს საქართველოს, მის ლიტერატურას, კულტურას, ისტორიას, მის ღვაწლს, მის გაყავყურ პირობას რუსეთის ვარეშე მტრების წინააღმდეგ, საჭიროა უფრო მეტად ვუწვნით რუსეთის საქართველოს კულტურა, უფრო მტიკედ ვიბრძოლოთ ზენი ხალხის სოციალური და ნაციონალური უფლებებისათვის. მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური აუდიტორია ტამის ვრიალით შეხვდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის გაბეჭულ გამოსვლას. საღამოზე შესრულდა ჯანდიერის „სტულ ობოლი“, „რერი“, „ნანა“, „ურმულ“. ქართულ და რუსულ ენაზე წაიკითხული იქნა ბარათაშვილის ლექსები, მათ შორის, მისი შედეგები „მერანი“.

II

ქართველ სტულდენტთა პირველი საღამო კიბეში 1899 წლის 5 თებერვალს ჩატარდა. მან უამრავი ხალხი მიიზო-რა. საღამოს წარმატება ერთხელ აღნიშნა კიევის გაზეთებმა და ჟურნალმა „Жизнь и искусство“. გუნდმა და ორკესტრმა ახალგაზრდა კომპოზიტორის ნ. ბალანჩივაძის დირიჟორობით შესარულა „ღარჯუნ ცბიერის“ ნაწყვეტები და ამავე კომპოზიტორის რამდენიმე რომანსი. კონცერტში მონაწილეობა მიიღო საიმპერატორო თეატრის იმომერალმა ზოტოვამ და მომდერალმა ალექსანდროვსკიამ.

ზოტოვა დიდის ნაუსუნისმეცლობით მოეკიდა ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა შესრულებას. მან ისე კარგად შეისწავლა ხმა, ტონი, გამომეტყველება ქართულ ლექსისა და სიმღერისა, ისე წმინდად გამოკვეთა ქართული სიტყვები, რომ დახმურე ქართველთა აღტაცება და წრედული მადლობა დაიმსახურა.

საღამო გაფორმებულ იყო ქართულ-ეროვნულ სტილზე. ახალგაზრდა რუსმა პოეტმა — ნ. გლოკემ, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზია და ადრე კიევის რუსულ გაზეთებში გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველი პოეტის ლექსები თარგმანი, სპეციალური ლექსი მიუძღვნა ქართულ საღამოს.

მეორე საღამოს (1900 წ. 8 თბ.) კიდევ უფრო მეტი წარმატება ხვდა. მასში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა რუსმა არტისტმა ქალბებმა — პასხლოვამ, ვენგეროვამ, ნევალოვსკიამ, ზოტოვამ, მსახიობებმა — ბონაროვამ, სტეფანოვამ, ბაგროვამ, ბალოზანამ, შუმანამა. ზოტოვამ იმღერა „ნანა“, ბონაროვამ — „შენ გეტრფი მარად“, პასხლოვამ წაიკითხა აკაკის ლექსი „ვადამუფი“, ბაგროვამ — ბარათაშვილის „მერანი“, ბალოზანამ — „სტულ ბორტო“.

სტულდენტთა გუნდმა შესარულა ქართული ხალხური სიმღერები „ღელა“, „ლაშქრული“, „სამშობლო ხეესურისა“, „იავ-ნანა“, „ჩემი ვარდი“, „კუჩხა-ბედნიერი“ და სხვ.

მ. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით ორკესტრმა შესარულა „ღარჯუნ ცბიერის“ ინტროდუქცია და რამდენიმე სიმღერა.

კომერციული კლუბის მოზრდილი დარბაზი სულ მავსე იყო. საღამოს ორგანიზაციაზე დიდი ენერჯია და შრომა დახარჯა რუსული სტუდენტთა ცნობილმა მოღვაწემ, ქართველების მეგობარმა, თბილისის ხშირმა სტუმარმა, მსახიობმა ქალმა პასხლოვამ.

მესამე ქართული საღამო გაიმართა 1900 წ. 30 ნოემბერს. სამწუხაროდ, იგი ვერ აღმოჩნდა ჯეროვან იდეურ-

მხატვრულ სიმაღლეზე, მას არ ჰქონდა გარკვეული ქართული ეროვნული ელფერი. სამაგიეროდ ფრიად შინაარსიანი იყო მეთხე საღამო (1903 წ. 4 თებ.), რომელსაც ხელმძღვანელობდა სამხერატორი თეატრის არტისტმა მ. ფ. ბაგრატი. საღამოში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კიევის საოპერო თეატრის არტისტებმა, მომღერლებმა კამენსკიმ და ბორისენკომ იმღერეს „მხოლოდ შენ ერის“ და „ჩემო თვალის სინათლე“, გუნდს ლობტარობდა მამინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომელმაც პირდაპირ სასწაული მოახდინა — 6 დღის განმავლობაში ისე გაუწვინა ქიევის ოპერის სიმღერა, რომ უნაკლოდ შეესაბამებინა ქართული გუნდრები. ეს საღამო ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო.

1908 წლის 31 იანვრის ქართულ საღამოს ხელმძღვანელობდა ჩვენს გამოჩენილი თანამემამულე კოტე მარჯანიშვილი, რომლის სახელი იმ დროს მთელ უკრაინაში ქულდა. მამინ იგი კიევის სოლოცკეის დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობდა. საღამოში მონაწილეობდნენ ოპერისა და დრამის მსახიობები.

ცნობილი რუსი არტისტი ბლუმენფელდ-ტამარინის ინიციატივით (იგი კარგად იცნობდა ქართულ კულტურას) 1909 წ. 7 ნოემბერს მოეწყო საღამო ქართველობას მხურავლად ეხმარებოდნენ ოპერისა და კრუჩინინის დრამატული დასის არტისტები.

კარგი შესაბამილება აღატოვა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა „გუმინ შვიდნი გურჯაანელი“, „ორმოცი წლის ბებია“, „ნანა“ და.

ოსტატურად იქნა დადგმული ცოცხალი სურათები — „მიჯაჭვული ამირანი“ და „ფიცი“ (პიესა „სამშობლოდან“), „მიჯაჭვულმა ამირანმა“ ააღლევა და აღაფრთოვანა დამწერე საზოგადოება. მისი მოთხოვნით ფარდა ჩამდენიმიერე აიხადა.

საღამოს დაესწრნენ კიევის პროფესორები, რექტორ ციტოვიჩის მეთაურობით.

სადა და შინაარსიანად ჩატარდა ქართველ-სომეხთა სტუდენტების შეერთებული საღამო 1911 წ. 4 ოქტ. კიევის კომერციულ სასწავლებელში (მამინ კიევის სა უმაღლეს სასწავლებელში 300-დე ქართველი სტუდენტი სწავლობდა). ისე, როგორც სხვა საღამოებზე, აქაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კიევის არტისტებმა. ცნობილია მე-ერთლინე როგოვმა დიდი მხატვრულ-ენოთეტიური სია-მოწინა ვანაბრდევინა მრავალრიცხოვან აუდიტორიას. საღამოში მონაწილეობა მიიღო ქართველ სტუდენტთა მომღერალმა გუნდმა. სომეხმა სტუდენტებმა თარზე ჩინებულად დაუკრეს „ქართულის“ მოტივები, ხლო ქართველებმა იცქვეს.

ქართველთა მეცხრე საღამო კიევში მოეწყო საინციენო კლუბში 1913 წ. 16 თებერვალს. მომღერალთა გუნდს ლობტარობდა სტუდ. ირემაშვილი, ორკესტრის კი სტუდ. დილიძე. გუნდმა შესარულა „ომში წახვალა მას უხარის“, „ჩუხ-ჩუხით ჩამობოდა“, „ცანგალა და გოვონა“ (ამ სიმღერის დროს მშვენივრად ცქვეყნდა სტუდ. ნაცვლიშვილი). სტუდენტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირემაშვილის საშმა ბავშვმა. ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი პატარავი დღეროდნე ქართულად, ცქვეყნდნენ, კი-თხოლობდნენ ქართულ ლექსებს. საღამოს დასასრულს

დაიდაც ცოცხალი სურათები საქართველოს ისტორიიდან და ყოფაცხოვრებიდან.

გულთბილად აღწერა ეს საღამო უკრაინულმა გაზეთმა „რადამ“ (1913 წ. № 41) — „სიმღერები, რომლებიც შესრულდა საღამოზე, მუსიკა და დელამაგია ამტკიცებენ, რომ ქართველები ნიჭიერი ხალხია, რომელსაც უყვარს ბოეზია და მუსიკა, წერდა გაზეთი. თითოეული ქართული სიმღერა ფსიქოლოგიურად ადვილი მისახვედრი და გასაგებია ადამიანისათვის, ჩანს, რომ კიევში გადმოტყურწინილი ქართველები ერთგული არიან თავისი სამშობლოს... რუსეთი ნაკლებად იცნობს საქართველოს ცხოვრებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. აი რატომ არიან ღირსნი მადლობისა ამ საღამოს ორგანიზატორები, რომლებმაც გვიჩვენეს საქართველოს ორიგინალური, ღირსშესანიშნავი ცხოვრების მცირე მონაკვეთი მაინც.

უკანასკნელი ქართული საღამო კიევში 1914 წ. 22 მარტს მოეწყო. საღამო ატარებდა ქართულ ეროვნულ კოლორიტს (რასაც ხელს არ უშლიდა შემსრულებელთა შედევნილობის ინტერნაციონალური ხასიათი). მამში მონაწილეობდნენ რუსი არტისტები და სომეხი სტუდენტებიც.

ეს იყო ჭეშმარიტად ჩინებული, კარგად შეკრული, ორგანიზებული საღამო. აქ ქართველ სტუდენტთა გუნდის გვერდით თქვენ ნახავდით მომღერლებს, კუბლესტიტებს. სომეხ სტუდენტ მეთარეების გუნდს. სამხერო ორკესტრ-მა შესარულა „მრავალამიერი“, დაუტრა ცქვეა „ქართული“ მუსიკა. არტისტმა ქალმა არსკიაამ დიდი წარმატებით იმღერა იტალიური რომანსი „გენაცვლე“ ი. გრამაშვილის ლექსზე. ქართულმა გუნდმა, სტუდ. ხანთასის ლობტარობით, შესარულა „დადავა ვაზაფხული“, „სამშობლო“, „აღსდევ გმირთ გმირო“, სტუდ. აკაკი დანელიამ ცქვეა „ქართული“. კომიკური „კინტარის“ საუთხოვლოდ იცქვეს ქართველმა და სომეხმა სტუდენტებმა. დასასრულს, ნაჩვენები იქნა ტრადიციული ცოცხალი სურათები.

ამ უკანასკნელ საღამოს ორგანიზაციის დროს ადვკლი ჰქონდა ერთ ეპიზოდს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა დაკვირვებით და სიფრთხილით ირჩევდნენ ქართველი სტუდენტები საღამოების ხელმძღვანელებს.

პირველ ხანებში ამ საღამოს მასუბინებულ ხელმძღვანელად კომერციული ინსტრუქტის ერთ-ერთი მეთაური ვინმე გორბუნოვი (რომელმაც რამდენიმეჯერ გაუწია ხელმძღვანელობა კიევის სტუდენტთა საღამოებს) იყო მოწვეული. მაგრამ 1914 წ. 25 თებერვალს, ტარას შევჩენოს დაბადებლიად 100 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი დემონსტრაციის დროს, რომელიც გარკვეილი იქნა ბოლივიის მიერ, გორბუნოვი უღრსად მოიქცა, გაილაშქრა სტუდენტთა დემონსტრაციის წინააღმდეგ, ქართული საღამოს მოწყობი კომისიის თავმჯდომარის ასენი ანტისაზოგადოებრივი საქციელით აღმოთვალულმა ქართველობამ, მომძე უკრაინელი ხალხისადმი, ღრმა სოლოდარობის გრამობით და მისი გენიალური ბოეტისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალულმა, თავი შეიკარეს და დემონსტრაციულად დაადგინეს — გორბუნოვი განთავისუფლებული იქნას ქართველ სტუდენტთა საღამოს მოწყობი კომისიის საპატიო თავმჯდომარეობიდან.

პირველი ქართული საღამო ოქტომბერში 1898 წ. 25 ნოემბერს მოეწყო. საღამომ დიდძალი ხალხი მიიზიდა და ცოცხლად, მზიარულად ჩაატარა.

ქართველ სტუდენტებს დახმარებას უწყვედნენ პროფესიული არტისტული ძალები — მსახიობი ქალები სიბერი, სალამატინა ბობერი, მსახიობები — შაპარკო და დადი. ქართველ მოღვაწეთაგან საღამოში მონაწილეობას დღეობდნენ კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე და მომღერალი მიხ. ნანობაშვილი (შემდგომში პარიზის „გრანდ-ოპერას“ სოლოისტის „მიშელ დარიალის“ ფსევდონიმით).

1900 წელს გურჯაანში „კვალმა“ რუსეთში გამართული ქართული საღამოების შესახებ საინტერესო წერილი მოათავსა. „ქართულმა საღამომებმა“ უკვე სრული მოქალაქეობა მოიპოვეს, — წერს იგი, — რუსეთის თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში. „სალამოს“ თანდათან მეტი და მეტი ხალხი ესწრება, მან სიმამათა მოიპოვა და ფეხი გაიღვა საზოგადოების ყველა ნაწილში“. ჟურნალი იძებს ამ ცხოველ, მზარდი ინტერესის ფსევდებს და სამართლიანად აღნიშნავს: „რუსეთის საზოგადოების სურს გაეცნოს იმ ერს, რომელიც ისტორიული ჩარხის ტრიალმა შეაერთა მათ სამშობლოსთან. ქართველმა სტუდენტებმა კარგად შეიგნეს ამ ხალხის მისწრაფება და სურვილი, ისინი კიდევ ცდილობენ, შეძლებისდაგვარად, მიაწოდონ მათ ამის მასალა. „სალამოების“ სიმამათის მოპოებაში დიდი ავგილი უკავია ქართველ სტუდენტების მიერ დამსახურებულ პატივისცემას, „სალამოების“ პროგრამის თანდათან გაფართოებას, გაუკეთებას და რუსის საზოგადოების ფლანდრიალურ არსებასაც. ამგვარად, „სალამოების“ წყალობით ქართველი სტუდენტი, ნოზობრივ მოვალეობის შესრულებასთან ერთად, მატერიალურადაც მხარს იმაგრებს“ („კვალმა“ 1900 წ. 17 დეკ. № 50, გვ. 791-792).

მეორე ქართული საღამო ოქტომბერში მოეწყო მხოლოდ 1902 წ. 21 ნოემბერს. ორგანიზატორებმა დასძლიეს მრავალი დაბრკოლება, განსაკუთრებით ქართული სიმღერების ნოტების და ნაციონალური ქართული კოსტუმების შოვნის სიძნელე და ჩინებული მოაწყვეს რუს საზოგადოებაში ესოდენ პოპულარული ქართული საღამო, დარბაზი სულ გაჭედილი იყო მსმენელებით. აუდიტორიას განსაკუთრებით მოეწონა სიმღერები — „თავო ჩემო“, „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“. ჩემს ვარსკვლავს“, „თაძარის დროშა“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ორთავ თვალის სინათლე“, ცეკვები „ქართული“, „კანტორები“, „დავლირი“, დარბაზის ორიგინალური, ღამაში გაფორმება (კვლავი გამოჭრილი იყო გვირახი, კლდის თავზე ირავს აკეთებდა არწივი, მეორედან — მზარით მოედინებოდა ჩანჩქერი, „კიოსკი“ მორთული იყო ქართული ხალიჩა და ძველური იარაღებით. დარბაზის კედლების გაყვლილებით ჩანდა ტროიკული მცენარეები).

გაზ. „ივერიის“ სიტყვით საღამომ მაყურებელში აუწერელი აღატყდა აღძრა და არაჩვეულებრივად დიდი შემოსავალიც დასტოვა. ამასვე აღნიშნავდა ოქტომბერში შემოვიდა.

შემდეგი საღამოს მოწყობა მოხერხდა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1906 წლის 9 დეკემბერს. მის გამართვას ხელს უწყობდნენ პროფესორები ვ. პეტრიაშვილი, პ. მელიქიშვილი, შაპარკო, კოსინსკი, ლანჯე, საბაქაო და სხვ.

სალამოს მოწყობის ნებაართვა პოლიციამ შეგნებულად მხოლოდ ორი დღით ადრე გასცა. მიუხედავად ამისა, მოეწყო ორი დღისა, საღამომ მაინც კარგად მოიშალდა. მასში მონაწილეობა მიიღეს ოპერისა და დრამის არტისტებმა — დოლორეა, სიბირიაკოვმა, ბავროვმა, მურომტევა და სხვ. საღამოს მომზადებაში მზურგალე მონაწილეობას დღეობდა შემდგომში ჩვენი სახელოვანი მწერალი, მაშინ ახალგაზრდა მსახიობი შალვა დაღინი.

სტუდენტთა გუნდს ხელმძღვანელობდა სტუდ. ქვეკლაია.

აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავს ოქტომბერში სტუდენტობაც გამოეხმებოდა. მისი ინიციატივით 1908 წ. 5 დეკემბერს მოეწყო საიუბილეო ზეიმი, რომელსაც დაესწრო ოქტომბრის ქართველობა (სტუდენტული და მასწავლებლები, ნავთსადურის მუშები, მოსახლენურები, ჯარისკაცები) და ოქტომბრის მრავალეროვანი ინტელექციონის წარმომადგენლები. დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაკითხული იქნა სამი რეფერატი. ერთი მათგანი, რუსულად წაკითხა ოქტომბრის უნივერსიტეტის პროფ. დოცენტმა ს. ლ. ავალიანმა. სამხატვრო განყოფილება შეიცავდა აკაკის პიესის „პატარა კახის“ მესამე მოქმედებასა და ვოდეილ „მუტილობას“, აგრეთვე მისი ლექსების მხატვრულ კითხვას ქართულა და რუსულ ენებზე. სცენაზე მოთავსებული იყო ყველაღობით შემკული აკაკის დიდი პორტრეტი. ახოუოზში — პორტრეტის გარშემო თავი მოიყარა სტუდენტთა გუნდმა, რომელმაც რამდენიმეჯერ შესარდა „მრავალკაციანი“.

მრავალციხეობანი აუდიტორიის სახელით მსცოვან პოეტს მზურგალე მისასალმებელი დღეში გაუგზავნა.

როგორც ცნობილია, 1912 წ. 27 ოქტ. შესრულდა დიდი ილია ქვეკვაძის დაბადების 75 წლისთავი. მთელი საქართველო ენათაგანდა ზეიმით აღენიშნა ეს შესანიშნავი ხარისი. არ ჩამორჩენ თავის ქვეყანას ოქტომბერი ქართველობაც და აი 1912 წ. 28 ოქტ. მოეწყო (კომერციული კლუბში) საიუბილეო საღამო. დიდი დარბაზი (1500 კაცს რომ იტევდა) სულ სავეს იყო ხალხით. აიხადა ფარა, სცენაზე გამორჩა დიდი პოეტისა და მოაზროვნის პორტრეტი, ღამაზე შემკული ყვავილებით. სურათის გარშემო თავმოყრილი იყო ქართველი სტუდენტთა გუნდი, სტუდ. გ. კუბრაშვილის ხელმძღვანელობით გუნდმა ჩინებულად შეასრულა „დიდება“.


ერთმა რუსმა სტუდენტმა კარგად წაკითხა სტუდ. გიორგი ცაგარლის, სპეციალურად ამ ზეიმისათვის დაწერილი რუსული ლექსი. დოცენტმა სიმ. ავალიანმა ცოცხლად წაკითხა შინაარსიანი რეფერატი ილიაზე. ორატორმა ხაზი გაუსვა დიდი ქართველი პოეტის და მოღვაწის მნიშვნელობას ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი განვითარებისათვის, და ნი-იანი წლების რუს პროგრესულ მოაზროვნეთა როლს მისი იდეური ფორმირების პროცესში. მოკლე და გამართული რეფერატი ქართულ ენაზე გამოვიდა სტუდ. მიხ. ცუცლასაძე.

ქიმ ბ. დათოშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა ილიას „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“; სტუდენტთა გუნდმა (ხელმძღვ. კუბრაშვილი) შეგვირდა იმღერა „გახსოვს ტურფავ“, „ჩურო“, „ნანიანა“, „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“ და „მურმან-მურმან“.




ქართველი
კომპოზიტორთა
და მუსიკოსთა
კავშირები

საქართველოს სსრ-ის
ხელშეწყობით სიმფონიური
ორკესტრის კონცერტს,
რომელზეც ვან კლიბერ-
მა ორკესტრთან ერთად
დედგრა ვუშანისა და
რამსაინოვის ნაწარმოე-
ბები, დირიჟორობდა
სსრკ-ის სახალხო არტისტი
ოლესი დომიტრაიდი.



ამერიკელი პიანისტი
ვან კლიბერი თბილისში





მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი აღფრთოვანებულია საბჭოთა ხალხით, საქართველოთი, თბილისით.



პიანისტი ვან კლიბერნი, სსრკ სახალხო არტისტი კომპოზიტორი ალექსი შავერაიანი, სპე. სსრ ზელოვნების დამს. მოღვაწე პროფესორი პაველ ზუქუა, კომპოზიტორი სულხან ნასიძე უცხოეთთან კულტურული კავშირის საერთოვლოს საზოგადოებაში.

ქართულმა მახანძრეებმა საბჭოთა მუსიკოსთა გულწრფელ მეგობარს უსახსოვრეს ქართული ეროვნული ტანსაცმელი, რამაც ვან კლიბერნი აორბაქივში მოიყვანა.

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა ამერიკელ პიანისტს გაუმართა ველთბილი შეხვედრა, ზომილიკ მოეწყო უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებაში.





მკურებელთა დარბაზი

საპარტეზელის ბავშვთა XIX რესპუბლიკური ოლიმპიადა



საქართველო
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკა

ცხაიის I საშ. სკოლი/
სიმღერისა და ცეკვის ან
სამბლის გამოსვლა



ცეკვა „აჭარული“. ბათუმის I საშ. სკოლა



„ზემი პიონერთა ბანაკში“, სოლო ცეკვა-
მხარაბის II საშ. სკოლა



უკრავს ნანა იაშვილი



უკვავენ თბილისის 43-ე
საშუალო სკოლის მოსწავ-
ლეები

ბათუმის I საშუალო სკოლის გუნდი



სანდრო ახმეტელის პირველი დაღვა



ნიკოლოზ კეკელიძე

ოტესა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის სანდრო ახმეტელი სიჭაბუკის წლებში გაეცნო. გაიდა წლები და მათი დაახლოება მეგობრობად იქცა, რომელსაც საერთო მიზნები და იდეალები დაელო საფუძვლად. ერთხანს ერთად შემოაბუნდნენ გაზეთ „საქართველოში“, რომელც სანდრო შანშიაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა. არა ერთი და ორი დამე გაუთვინდა ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეებს გაზეთის ნორბოვის შედგენაზე და გამოშვებაზე. ამ თანამშრომლობამ იძლედა დაახლოება ისინი ერთმანეთს, რომ ს. შანშიაშვილი პირველად ს. ახმეტელს შეხვედრდა ხოლმე თავის ახალ პოეტურ თხზულებებს. თუ პუბლიცისტურ წერილებს, ყურადღებით უსმენდა და ანგარიშს უწევდა ს. ახმეტელის აზრებს და შენიშვნებს.

ასე მოხდა 1916 წლის ერთ საღამოსაც, როცა ს. შანშიაშვილმა ს. ახმეტელს გააცნო თავისი ახლად დათავრებული დრამატული ნაწარმოები. ს. ახმეტელს მოეწონა იგი, მაგრამ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა მაინც მისცა. მეორედ წაკითხვისას ნაწარმოებმა ისე აღაფრთოვანა ს. ახმეტელი, რომ აღუთქვა ავტორს რაღაც არ უნდა დამიჯღოს, ამ პიესას მე დავადამო. ავტორმა და მომავალმა რეჟისორმა ერთად შეარჩიეს სახელწოდება პიესისათვის — უფლებას მას „ბერლოზმანია“. ვიდრე ს. შანშიაშვილის დრამატული ნაწარმოების სცენური განხორციელების რეალური შესაძლებლობა შეეჩვენებოდა ს. ახმეტელმა მის შესახებ გაზეთში გამოაქვეყნა რეცენზია „ჯუზოშვილის“ შესტეონობით. ამ რეცენზიებში ნათელი ხდება, თუ რა მოტივების გამო მოსწონდა ახმეტელს „ბერლოზმანია“, ეს პიესა იყო ძლიერი პიროვნების თავისუფლების მოყვარეობის სურვილი ადღეულები პიში. პიესის მთავარი გმირის ბერლოს სჯერა თავის ნებისყოფის და გონების ძლევის შესაძლებლობა; მისწრაფის რა ნათელი, მშვენიერი, იდეალური სამყაროსაკენ, იგი ბრძოლას უწყობდა ყოველგვარ მონობას და დამოწყობას. თავადაღებობით იბრძვის პიროვნების სრული თავისუფლებისათვის. იძლევა რა მთავარი გმირის ასეთ დახასიათებას. ს. ახმეტელს თავისი დებულების ნათელსაყოფად მოჰყავს შემდეგი ადგილი პიესიდან:

„მე ვარ შვედში. ვის ძალქს შეაფრხოს ზეციურ მშვენიერებათა ტკობა. მშვენიერებას თვითონ ვაღწი ვაბარებ.“

მშვენიერება — ეს თვითონ ჩემი არსება.
მინდა მის ბურუსში გავებო, მას შევებოცო.
ვინ არის, რომ ამს მოზღის, წინ მელაშობს!
ვინა პხედავს ჩემს შებებებს, დაძმანავებს!
მე თავისუფალი ვარ, რადგან თვით ვარ ცოხლის ძალა.
მინის შვილი, თვით მინის ბუნება ვარ.
..... ვინ არის ის, რომ ჩემს დაპონებას
ლაშობს? რას დადებთ თან, ან რას დაძმანავს?
მას სურს მის ფეხის ცქვას აფეცი, უნად ვავხედი, ჩემი „მე“
მოკლა და მის დუღაღუც ვიოპაშო.
არასოდეს!
მე არაა არ ვავხედი. მონობის უღელს არ დავივამ.
ვინც ჩემი წინააღმდეგია, ის მტერია ჩემი, თავისუფლების.
მას ვაფრთხვოს ბრძოლას. ვნახო, ვინ გაიმარჯვებს!“

შემდეგ რეცენზიის ავტორი ამბობს: „ბერლოზმანიის იბრძვის თავგანწირვით. მუშუორად. ებრძვის აუცილებლობას, მსოფლიოს კაიონს. მას ჰყავს მომხრე და მეგობრები, ესენი თვით დამაბნის თვისებებშია, რომელიც ორ ბანაკად იყოფა. ზოგნი იბრძვიან ბერლოსთან ერთად და ამხნევენ მას, ხოლო ზოგნი კი

განძობენ, რომ ბერლოს ბრძოლა მარცხით დამთავრდება და ურჩევენ მას ბედს დამორჩილდეს, დანებდეს. ბერლოს მანია არ ცხრება, იბრძვის და მარცხდება. აუცილებლობა იმარჯვებს.“

ასეთია სანდრო შანშიაშვილის „ბერლოზმანია“. თვით ტრაგედია ძლიერი სიმარტივით ერთი სულიერი კონფლიქტისა მხოვრედ გადადის. ავტორს მშვენიერად აქვს დატყობილი როგორც ფორმა, ისევე ტრაგიკის ძალთა განაწილება. სურათ-ხატება მოქმედებაში მთელია, გარკვეული, დიდებული სიფაქტით მოცული. სცენიურის მხრით ტრაგედია მტრისობიერად და ეფექტურია, — დასკვნებია ს. ახმეტელი“.

პიესის დაღვის წინ სანდრო ახმეტელმა მთელი რიგი მოსამზადებელი დონისძიებანი ჩაატარა, შექმნა პირობები სცენაზე მის დასადგმელად. თვითონ ავტორმა კი პიესის რაოდენჯერვე წაკითხვისას და შეწირების შემდეგ, პიესა საჯაროდ გამოიტანა განსახილველად. „პარსიკებს, 25 მარტს 12 საათზე. — იუწყებოდა პრესა, — ახალ კლებში, სიტყვა-სიტყვად საზოგადო საბჭოს თათისობით, გაიმართება დილა.“

სანდრო შანშიაშვილი წაკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს „ბერლოზმანიას“.

„ბერლოზმანიის“ დადგამად სანდრო ახმეტელმა მოახდინა ჩრდილოეთის მისი კერძანაცა, რაც მამის სრულიად ახალი მოცნება იყო. ამის შემდეგ შეუდგა მზადებას სცენაზე მის დაღვისათვის.

1920 წელსა. ქართული თეატრი კრიზისს განიცდის. კოტე მარჯალიშვილი ჯერ ისევე რუსეთშია. დრამატული საზოგადოება თუცა არსებობს, მაგრამ თეატრი მაინც არსად ჩანს. საზოგადოებამ მოუყარა თავი დასს და იჯარით ბილი „არტოს“ (ახლანდელი რუსთაველის თეატრის) შენობა. საზოგადოების გამგეობამ მოლაპარაკება გამართა თეატრის მეგობარ სანდრო ახმეტელთან. მართალია, ს. ახმეტელს „ბერლოზმანიის“ დადგმა გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ მაინც ყოყმანობდა, თავს იკავებდა. ბოლოს, შაქრო ბერიშვილის წაქეზებით, დათანხმდა, და სანდრო ახმეტელი თეატრში საშუაოდ მოვიდა.

მაგრამ ბერგამ მსახიობმა ახლად მოსულ რეჟისორს აღმაკურად დაუწყო ცქერა, და მის წინააღმდეგ გამოსულასაც აპირებდნენ.

— გულის ფანქრებით ველით საბოლოო რეპეტიციას, — იხსენებდა ის ფაქტს რესპუბლიკის სახლო არტისტის წინონ დავითაშვილი, — საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონდა, ნიშნად პრეტესტისა სტეფით გაისტუმრებინათ იგი (ახმეტელი), რადგან ქართველ მსახიობებს მოსწყინდათ საქმესერიზინტო ობიექტად ყოფნა.

პირველი სექტიმერი გამოცხადდა რეპეტიციის დღედ. შეგროვდა მთელი დასო... ველით. სამარისებური სიჩუმეა. ახალმა რეჟისორმა სიჩუმე დაარტყინა ხმა აპირლი. როლის განსახიერებაში მსახიობის შენიშვნა მისცა. შენიშვნა მსახიობებმა მართებულად მიიჩნიეს. მტკაღ დაკრძიული ნერვები ნელ-ნელა მიეშვა. ხედავ უღავი გარკვეტახს. სტეფისაგან თავს იკავებენ. კვლავ ელიან. დასრულდა რეპეტიცია და... შექმნა ტაშის გრიალი, სავროს სიხარული. ახალი რეჟისორი მოვიდა ახალი სიტყვა გაეიგეთ. ყოველდღიურად იზრდებოდა სანდრო ახმეტელის ავტორიტეტი. მსახიობებმა იგი მიიღეს, მაგრამ გამოცდა მთლიანად ჩააბრებული არ არის. რას იტყვის საზოგადოება?

სანდრო ახმეტელის რეჟისორობით მიდის „ბერლოზმანია“. თეატრი გაქვილია, აინადა ფარდა დარბაზში სმენადა გადატყობილი. დასრულდა პირველი აქტი, მეორე, მესამე, ტაშით თანდათან ძლიერდება. ნიშნები კარკია.

წარმოდგენა დამთავრდა. საზოგადოების და დასის ივაცებები ხედა წილად სანდრო ახმეტელს. ამრიგად, იგი

1 სანდრო ახმეტელის დღეობები, 1916 წ. გვ. 8.

საზოგადოებრივად მიიღო. გამოცდა ჩაბარებულია ფრიადზე და საიდრო თეატრში დარჩა.

ეს იყო 1942 წლის 21 ნოემბერს. ხინო დავითაშვილი ვანდრეცკემ, რომ როდესაც სანდრო ამბეტელმა როლის გადმოსაძიერებელს შენიშვნა მისცა, მსახიობებმა იგი ძარბებულად თინიხიესო, თუ რაში მდგომარეობა ეს ძარბებულობა, ამის შესახებ მოგვსმინოთ თითონ ახმეტელს: „ყოველ მსახიობს მთელი გეგმა მოქმედ ბრისა ჩაახალული უნდა ჰქონდეს ყურადღების ფოკუსში და მხოლოდ აქედან უნდა დაკვირვებით ქმნიდეს სუბტილური ჩანასახით იმ ამასთან, რომლის მდგომარეობაა სცენაზე განიცდის. ამასთანავე, მსახიობის ფიზიკური არსება უნდა ემორჩილებოდეს მის სულიერ „მე“-ს. ეს „მე“ მსახიობისა ყოველთვის ფიზიკური დარაჯი უნდა იყოს სცენაზე. მან არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ თამაშობის მისი ფორმა, მისი გარემოება არსება და ამიტომ ყოველთვის წინ უნდა უძღვოდეს“.

ახმეტელი დიდი სითხელის წინაშე იღვჯა: გრძობდა, რომ „ბერლოზმანი“ მისი ფილოსოფიური შინაარსის გამო მყურდობისათვის მძიმე და აწელი გასაგები იქნებოდა. მისი იცოდა, რომ სიმბოლური ხერხებით დახატული ადამიანის სულიერი ცხოვრების გადმოსაცემად საჭირო იყო სპეციფიკური დაწერილი მუსიკა და ბალეტის ეს ორი ატრიბუტი უნდა დაზარებულა სპექტაკლის დედანარის განსაზღვრა.

